



საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 9 21 00361859

19/04/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ირაკლი ბერაიას

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2021 წლის 6 აპრილის №3090/4-8/21 (რეგ.: №304238; 06/04/2021წ.) წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2021 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი ეროვნული სწავლებების, ასევე საქართველოში და საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო სამხედრო სწავლებებისა და წვრთნების შესახებ.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე



2021 წელს დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებები



ეროვნული სწავლებები

ეგრისი 2021 - თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის II ქვეითი ბრიგადის ტაქტიკური დონის კომპიუტერული სისტემებით მხარდაჭერილი სამეთაურო საშტაბო სწავლება (CPX/CAX).

სწავლების მიზანი - თავდაცვითი ოპერაციების დროს ბრიგადის შტაბის ოპერაციების პროცესების დახვეწა.

ჩატარების ადგილი - II ქვეითი ბრიგადის დისლოკაციის ადგილი (ქ. სენაკი).

აღსრულების თარიღი - 2021 წლის 19-23 აპრილი.

ძირითადი საწვრთნელი აუდიტორია (PTA) - თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მეორე ქვეითი ბრიგადის შტაბი და ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრი დასავლეთის შტაბი.

ბასიანი 2021 - თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის I ქვეითი ბრიგადის ტაქტიკური დონის კომპიუტერული სისტემებით მხარდაჭერილი სამეთაურო საშტაბო სწავლება (CPX/CAX).

სწავლების მიზანი - ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების დროს ბრიგადის შტაბის მართვის, კონტროლის, კავშირის და სტანდარტული სამოქმედო პროცედურების დახვეწა.

ჩატარების ადგილი - NATO - საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) (კრწანისი).

აღსრულების თარიღი - 2021 წლის 5-16 ივლისი. ძირითადი საწვრთნელი აუდიტორია (PTA) - თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის I ქვეითი ბრიგადის შტაბი და ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრი აღმოსავლეთის შტაბი.

დიდგორი 2021 - ეროვნულ-სტრატეგიული დონის უწყებათაშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება.

სწავლების მიზანი - კრიზისული და საომარი მოქმედებების დროს უწყებათაშორისი კოორდინაციის დახვეწა და გაერთიანებული ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში შტაბების მართვის, კონტროლისა და კავშირის პროცედურების გაუმჯობესება. სწავლების ფორმატში, პირველად რეალურ გარემოში (LIVEX) იგეგმება საომარი მოქმედების დროს სამოხილიზაციო პროცესში რეზერვისტთა მომზადების ცენტრის პროცედურების და სამოხილიზაციო რეზერვის სისტემის უწყებათაშორისი კოორდინაციის შემოწმება/დახვეწა.

ჩატარების ადგილი - II ქვეითი ბრიგადის დისლოკაციის ადგილი (ქ.სენაკი), NATO - საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC).

ჩატარების თარიღი - 2021 წლის 1-12 ნოემბერი. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნება რელევანტური სახელმწიფო უწყებები.



AGILE SPIRIT 21 - საქართველოს და აშშ ერთობლივი სამეთაურო/სამტაბო სწავლება საველე კომპონენტით. სწავლებაში აშშ და საქართველოს გარდა მონაწილეობას იღებს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების ქვედანაყოფები და შტაბის ოფიცრები. **სწავლების მიზანი** - ქართულ-ამერიკული ოპერატიული შესაძლებლობების შენარჩუნება/გაძლიერება, მრავალმხრივი სწავლების ჩატარების უნარების და ურთიერთთანამშრომლობის განვითარება აშშ-სა და მოკავშირე ძალებთან. რეგიონალური მდგრადობის და თავდაცვის სექტორის განვითარების უზრუნველყოფა.

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 26 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით.

ჩატარების ადგილი - სწავლება ჩატარდება სამ ლოკაციაზე. სწავლების კომპიუტერული სისტემებით მხარდაჭერილი კომპონენტი (CPX/CAX) ჩატარდება სენაკის ბაზაზე. სწავლების სამეთაურო-სამტაბო და საველე კომპონენტები ჩატარდება ორფოლოს და ვაზიანის პოლიგონებზე.

MAPLE ARCH 21 - საქართველოს და კანადის ერთობლივი სამეთაურო/სამტაბო სწავლება, სწავლებას აფინანსებს კანადური მხარე.

სწავლების მიზანი - ბატალიონის შტაბის წვრთნა მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციების (PSO) დაგეგმვასა და აღსრულებაში ლიეტუვურ-პოლონურ-უკრაინული ბრიგადის (LITPOLUKRBRIG) შტაბის ხელმძღვანელობით.

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 17-26 ნოემბერი.

ჩატარების ადგილი - NATO - საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) (კრწანისი).

ETERNITY 21 - საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივი სამეთაურო/სამტაბო სწავლება საველე კომპონენტით. სწავლება ტარდება საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის ტერიტორიებზე მონაცვლეობის პრინციპით. COVID-19-ის გამო 2020 წლის სწავლების ჩატარებამ გადმოინაცვლა 2021 წელს.

სწავლების მიზანი - მონაწილე ქვეყნების ქვედანაყოფების თავსებადობისა და ურთიერთქმედებების დახვეწა, ოპერატიული შესაძლებლობების გაუმჯობესება ნავთობსადენების დაცვისას.

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 4-8 ოქტომბერი.

ჩატარების ადგილი - NATO - საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) (კრწანისი).

IEL MILU 21 - მრავალეროვნული სამეთაურო/სამტაბო ლოჯისტიკური სწავლება, აღნიშნული სწავლება წარმოადგენს მრავალეროვნული ინტეგრირებული ლოჯისტიკური ქვედანაყოფის "IEL MILU" სამეთაურო სამტაბო სწავლებას. სწავლების ჩატარების ადგილი განისაზღვრება რიგითობით (2020 საქართველო; 2021 ხორვატია და ა.შ). სწავლებაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს, რუმინეთის, ხორვატიის და ბულგარეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები. აღნიშნული ქვედანაყოფი აქტიურდება მხოლოდ NATO-ს მოთხოვნით და ოპერაციის რაიონში იმყოფება გაერთიანებული ერთობლივი ძალთა სტრუქტურის (CJTF) ოპერატიულ დაქვემდებარებაში. IEL- MILU არის ასეულის ზომის ქვედანაყოფი და ლიდერი მონაწილე ქვეყანა - რუმინეთი.

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 29 ნოემბერი - 3 დეკემბერი.

ჩატარების ადგილი - NATO - საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) (კრწანისი).



COMBINED RESOLVE XVI - სამეთაურო/საშტაბო სწავლება საველე კომპონენტით.

სწავლების მიზანი - განავითაროს მზადყოფნა და ხელი შეუწყოს რეგიონულ სტაბილურობას და მოკავშირეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

ჩატარების ადგილი - ჰოენფელსი, გრაფენვიორი, გერმანია.

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 23 ნოემბერი - 18 დეკემბერი.

სწავლებაში ქართული მხარე მონაწილეობას მიიღებს მოწინააღმდეგე ძალების ასეული (OPFOR) მრავალეროვნული ბატალიონის შემადგენლობაში.

SABER GUARDIAN 21 - სამეთაურო/საშტაბო სწავლება საველე კომპონენტით. აღნიშნული სწავლება არის აშშ მრავალეროვნული სწავლება Defender 21-ის შემადგენელი ნაწილი.

სწავლების მიზანი - განავითაროს მზადყოფნა და ხელი შეუწყოს რეგიონულ სტაბილურობას და მოკავშირეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

ჩატარების ადგილი - ბულგარეთი. მონაწილეობს 100 ს/მ.

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 24 მაისი - 9 ივნისი.

სწავლებაში ქართული მხარე მონაწილეობას მიიღებს ქვეითი ასეულის (22 ბატ. ასეული) შემადგენლობით.

SEA BREEZE 21 - სამეთაურო/საშტაბო საზღვაო სწავლება საველე კომპონენტით. აღნიშნული სწავლება ითვალისწინებს სამხედრო საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო, სამეთაურო-საშტაბო და საველე კომპონენტების ჩართულობას უკრაინის ხელმძღვანელობით.

სწავლების მიზანი - მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაზრდა და რეგიონალური უსაფრთხოების განმტკიცება, ფოკუსირება მრავალფეროვან სცენარებზე ზღვაზე, ხმელეთზე და ჰაერში.

ჩატარების ადგილი - უკრაინა.

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 28 ივნისი - 10 ივლისი.

სწავლებაში ქართული მხარე მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ სარდლობის 31-ე ქვეითი ბატალიონის ერთი ოცეული, სპეციალური ოპერაციების ძალების საზღვაო სპეციალური დანიშნულების ასეულის 14 სამხედრო მოსამსახურე, თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დეპარტამენტის 2 წარმომადგენელი, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 2 კატარა, 3 შტაბის ოფიცერი, აზორდაჟის ჯგუფის 12 სამხედრო მოსამსახურე.

RAPID TRIDENT 21 - სამეთაურო/საშტაბო სწავლება საველე კომპონენტით. აღნიშნულ სწავლებაში ქართული მხარე მონაწილეობას მიიღებს ნატოს წევრ/პარტნიორ ქვეყნებთან ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში.

ჩატარების ადგილი - უკრაინა.

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 19-25 სექტემბერი.

სწავლებაში ქართული მხარე მონაწილეობას მიიღებს საშტაბო კომპონენტში 8-10 სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით.

EURASIAN PEACE - სამეთაურო/საშტაბო სწავლება.

სწავლების მიზანი - ნატოს სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვა და ჩატარება ჰიბრიდულ გარემოში და ნატოს ფარგლებს გარეთ.

ტაქტიკურ დონეზე ქვედანაყოფების გაწვრთნა კრიზისებზე რეაგირებისათვის; პარტნიორი ქვეყნებისა და ნატოს ქვეყნებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლება.

ჩატარების ადგილი - თურქეთი (სტამბოლი).

აღსრულების პერიოდი - 2021 წლის 11-15 ოქტომბერი

სწავლებაში ქართული მხრიდან მონაწილეთა რაოდენობა გაირკვევა დაგეგმვის კონფერენციებზე.